დამტკიცებულია: **დანართი N1**
საქართველოს სახალხო დამცველის
2014 წლის 15 დეკემბერის N243 ბრძანებით.

ცვლილებები შევიდა:
საქართველოს სახალხო დამცველის
2015 წლის 12 იანვრის N6 ბრძანებით

საქართველოს სახალხო დამცველის
2018 წლის 1 მაისის N163 ბრძანებით

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს (შემდგომში – „საბჭო“) სტატუსს, სტრუქტურას, საქმიანობის წესს, უფლებამოსილებას და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. საბჭო თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემებარე აქტებით და ამ დებულებით.
3. საბჭო წარმოადგენს პრევენციის ეროვნული მექანიზმთან არსებულ სათათბირო ორგანოს.

მუხლი 2. საბჭოს მიზანი და უფლებამოსილებები

1. საბჭოს საქმიანობის მიზანია პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა.
2. საბჭო სახალხო დამცველს წარმოადგენს მოსაზრებას შემდეგ საკითხებზე:
ა) პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განსახორციელებელი აქტივობების გეგმის შესახებ;
ბ) სამუშაო მეთოდოლოგიის შესახებ;
გ) თემატური კვლევების შესახებ;
დ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების პროფესიული სწავლების შესახებ;
ე) პრევენციის ეროვნული მექანიზმის სხვა სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ.
ვ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე.
3. საბჭოს მოსაზრებას აქვს საკონსლტაციო ხასიათი.

4. საბჭოს მოწვეული წევრები ხელს უწყობენ პრევენციის ეროვნულ მექანიზმს აკადემიურ წრეებთან, დონორ ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის დამყარებაში.
6. საბჭოს წევრს უფლება არა აქვს სახალხო დამცველის ნებართვის გარეშე:
ა) გააკეთოს საჯარო განცხადება, რომელიც დააზიანებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეპუტაციას ან/და ხელს შეუშლის მის საქმიანობას;
ბ) გაამჟღავნოს საქმიანობის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭო იქმნება საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.
2. საბჭოს წევრთა შემადგენლობაში არიან:
ა) სახალხო დამცველი;
ბ) სახალხო დამცველის პირველი მოადგილე;
გ) სახალხო დამცველის მოადგილე;
დ) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი;
ე) სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის უფროსი;
ვ) სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დაცვის ცენტრის უფროსი;
ზ) სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი;
თ) საბჭოს მოწვეული წევრები, რომელთა შემადგენლობას **ორი წლის ვადით** ამტკიცებს საქართველოს სახალხო დამცველი.
3. საბჭოში მოიწვევული წევრი შეიძლება იყოს:
ა) პირი, რომელიც ეწევა საგანმანათლებლო/აკადემიურ საქმიანობას პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატთან დაკავშირებულ სფეროში;
ბ) წამების პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი;
გ) წამების პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი;
დ) წამების პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი.
4. საბჭოში წევრის მოწვევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი გამოცდილება, რეპუტაცია და მიუკერძოებლობა.
5. საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება შეუწყდეს საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით.
6. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) არასაპატიო მიზეზით სამჯერ ზედიზედ საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობა;
გ) თუ იგი დასაქმდა საჯარო სამსახურში;
დ) გახდა საქართველოს რომელიმე სამინისტროს ანაზღაურებადი საკონსულტაციო/სათათბირო ორგანოს წევრი და/ან არსებობს ისეთი გარემოება რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მის მიუკერძოებლობას.
ე) ამ დებულების მოთხოვნების დარღვევის გამო;
ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხდება;
ზ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
თ) გარდაცვალება.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს განიხილავს საბჭო და ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შუამდგომლობით სახალხო დამცველისათვის მიმართვის შესახებ.

მუხლი 4. საბჭოს საქმიანობის წესი

1. საბჭო საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. საბჭოს სხდომა ტარდება, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრების ნახევარი, მათ შორის, სულ მცირე, საბჭოს 2 მოწვეული წევრი.
2. საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს სახალხო დამცველი, ხოლო მისი არყოფნისას, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე.
3. საბჭოს საქმიანობას კოორდინაციას უწევს პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტის) უფროსი.
4. საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ ექვს თვეში ერთხელ მაინც. სახალხო დამცველს უფლება აქვს მოიწვიოს საბჭოს საგანგებო სხდომა.
5. საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ წინასწარ არანაკლებ 7 დღით ადრე ეცნობება საბჭოს წევრებს კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით (წერილობითი, ელექტრონული და სხვა).
6. საბჭოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აისახება სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები. ოქმის შედგენას უზრუნველყოფს პრევენციის ეროვნული მექანიზმი (დეპარტამენტი). სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომაში მონაწილე საბჭოს წევრები.
7. საბჭო სახალხო დამცველისათვის ამზადებს საკონსულტაციო მოსაზრებას შემდეგ საკითხებზე:
ა) პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განსახორციელებელი აქტივობების გეგმის შესახებ;
ბ) სამუშაო მეთოდოლოგიის შესახებ;
გ) თემატური კვლევების შესახებ;
დ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების პროფესიული სწავლების შესახებ;
ე) პრევენციის ეროვნული მექანიზმის სხვა სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ.
ვ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე.
8. საბჭოს წევრების საქმიანობა ანაზღაურებადი არ არის.
9. პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტის) უფროსი საბჭოს სამ თვეში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს განხორციელებული სამუშაოს, მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ტენდენციების და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წინაშე მდგარი გამოწვევების, საჭიროებებისა და განსახორციელებელი აქტივობების გეგმას.